

თემის ავტორი: ანა ჩაჩუა, 155-ე საჯარო სკოლა

“ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის გავლენა ჩემს მომავალზე“

თავისუფალი გადაადგილება ევროკავშირში, დღევანდელი დრომდე, უამრავი ადამიანისთვის მხოლოდ მითს წარმოადგენდა. ახლა კი სასიამოვნოა იმისი გააზრება, რომ ადრე, რაც შეუძლებლად გვეჩვენებოდა, დღეს სრულიად შესაძლებელი და რეალურია. კარგია, რომ ევროპაში თავისუფლად გადაადგილების მნიშვნელობა ყველას კარგად გვესმის, თუმცა უმეტესობამ არ იცის, რომ ვიზის გარეშე დარჩენა 180 დღიან პერიოდში 90 დღეა შესაძლებელი, ამიტომაც მნიშვნელოვანია, ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის პირობები საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის ცნობილი გახდეს, განსაკუთრებით კი-ახალგაზრდებისთვის, რადგან ჩვენ ვართ ის თაობა, რომელმაც ევროპაში თავისუფლად გადაადგილების პრივილეგია ჩვენს და ჩვენი საზოგადოების უპირატესობად უნდა ვაქციოთ. საკითხის ცოდნა კი ის უპირველესი პირობაა, რაც ამ მიზნის რეალობად გარდაქმნაში დაგვეხმარება. უვიზო მიმოსვლა არის ნამდვილად დიდი ფუფუნება იმ თვალსაზრისით, რომ გვეხსნება გარკვეული ბარიერები და რაც მთავარია, საელჩოს რიგში თვეობით ლოდინის დისკომფორტი.

ყველა ჩვენგანს განსხვავებული მიზეზი აქვს, თუ რატომ სურს ევროპაში მოგზაურობა. მიზნები სხვადასხვაგვარია: ტურისტული, საგანმანათლებლო ან სულაც მეგობრის თუ ნათესავის მონახულება. ადრე თუ ამ მიზნების განსახორციელებლად ბევრი შრომა და უამრავი პრობლემის გადალახვა გვიხდებოდა, ახლა ბევრად სასიამოვნოა იმის გააზრება, რომ ეს ფორმალობები აღარ გვჭირდება და მცირედი ძალისხმევითაც კი შეგვიძლია ოთხმოცდაათი შესანიშნავი დღე გავატაროთ ევროპაში.

ერთი შეხედვით, შეიძლება უვიზო მიმოსვლა მარტივ პროცედურად მოგვეჩვენოს, მაგრამ, რეალურად, ამ შემთხვევაში მონიტორინგი უფრო გაძლიერებულია, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი უარყოფითი შედეგები, როგორც არის ლტოლვილების, არალეგელთა მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობის ზრდა. ევროპაში თავისუფლად გადაადგილება აუცილებლად უნდა იძლეოდეს ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება უვიზო მიმოსვლა ქართული საზოგადოებისთვის დადებითი შედეგის მომტანი.

პირადად ჩემთვის, უვიზო მიმოსვლა ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობაა იმ ფუფუნებათა შორის, რითაც დღევანდელ თაობას გვამარაგებენ. ჩემი მომავალი პროფესია ექიმობაა. მინდა, რომ ჩემს სფეროში, რაც შეიძლება დიდი არეალი მოვიცვა, რათა განათლებული და წარმატებული პროფესიონალი გავხდე. უვიზო მიმოსვლა კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ამ მიზნის განსახორციელებლად. ეს მომცემს შესაძლებლობას დავესწრო კონფერენციებს, მონაწილეობა მივიღო სამეცნიერო ღონისძიებებში, ვისარგებლო მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამებით, რომელიც ნამდვილად მომცემს იმ გამოცდილებას, რითაც შემდეგ საკუთარ ადგილს დავიმკვიდრებ ჩვენს საზოგადოებაში. დარწმუნებული ვარ, ჩემ გარშემო სხვა უამრავი მოტივირებული ახალგაზრდაა, რომელთათვის ეს შანსი წარმატების მოპოვების გარანტიაა. ასე რომ ვფიქრობ, ეს შესაძლებლობა ყველაზე მეტად ახალგაზრდა თაობას სჭირდება.

ნამდვილად სასიხარულოა, რომ დღესდღეობით უვიზო მიმოსვლისა და უსაფრთხო მიგრაციის შესახებ მოსწავლეებს ტრენინგები გვიტარდება, რათა შემდგომში თავიდან ავიცილოთ ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები. IOM-ის წარმომადგენლებმა პირადად მე და ჩემს მეგობრებსაც ნათლად აგვიხსნენ უვიზო მიმოსვლის პირობები, ჩვენში ინტერესი გამოიწვიეს და რაც მთავარია ის ცოდნა მოგვცეს, რაც ევროპაში თავისუფლად და ლეგალურად გადასადგილებლად

დაგვჭირდება, ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანებისთვის საკითხის სწორედ მიწოდებასა და მათ დაინტერესებას.

მიუხედავად იმისა, რომ უვიზო მიმოსვლა გარკვეულ პრობლემებსაც მოიცავს, ეს დაბრკოლებები არაფერია იმასთან შედარებით, რა უპირატესობებიც ამ ცვლილებით შეიძლება მივიღოთ, ამიტომაც ამ საკითხს გულგრილად არ უნდა შევხედოთ, არამედ ყოველი მხრიდან უნდა შევისწავლოთ, რათა მისი დადებითი მხარეები მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენს პირად ცხოვრებაში.